

**პროფესორ ცისანა ხოშტარიას ხსოვნა
(12.1944 – 01.2016)**



ქალბატონი ცისანა ხოშტარია დაიბადა თბილისში 1944 წლის 29 დეკემბერს, ექიმების ოჯახში. 1962 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 39-ე საშუალო სკოლა და ამავე წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1967 წელს ელექტრონული გამომთვლელი მანქანების სპეციალობით.

1965-1980 წლებში მუშაობდა თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში ინჟინრად, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად ხოლო შემდგომ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ინსტიტუტში ის მონაწილეობდა პროგრამული მართვის ჩარხების, გადაწყობადი სტრუქტურის პროგრამირებადი კონტროლერების შექმნაში.

1980-1984წწ. ქალბატონ ცისანას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრის ცვლის უფროსის თანამდებობა ეკავა. 1984-2004 წლებში იყო ამავე კათედრის უფროსი მასწავლებელი. 2004 წლიდან, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, ქალბატონ ცისანას მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

2004-2006 წწ. იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მიმართულების დოცენტი, ხოლო 2006 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა ეკავა.

ქალბატონი ცისანა ხოშტარია პარალელურად მოღვაწეობდა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში და სოხუმის საზოგადოებრივ კოლეჯში ასოცირებულ პროფესორად. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 80 სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელოები: „საკაერო ხომალდების ციფრული საბორტო გამოთვლითი მანქანები და კომპლექსები“, „ციფრული ავტომატების გამოყენების თეორია (ართიმეტიკული საფუძვლები)“, „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“, „ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები“, „კომპიუტერების ლოგიკური საფუძვლები“, „მიკროპროცესორული სისტემები“. მიღებული ჰქონდა ოთხი საავტორო მოწმობა.

წავიდა ჩვენგან გულისხმიერი მეცნიერი ქალბატონი, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, სამაგალითო დედა და მეუღლე, ეროვნული ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი, რომლის სახელს დიდხანს არ დაივიწყებენ მისი მადლიერი შთამომავლობა, მეგობრები და კოლეგები.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
ჟურნალის რედაქცია**